საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

7 ივლისი, 2015 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომის დაწყების დრო 10:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ირაკლი ყანდაშვილი, როინ მიგრიაული, ბონდო ალასანია, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, დავით ლანჩავა**

დღის წესრიგი:

1. ზაზა ხატიაშვილის ინიციატივა: ჟურნალის “ადვოკატი” მთავარ რედაქტორად ზაზა ხატიაშვილის, მთავარი რედაქტორის მოადგილედ - ეკატერინე ხიმშიაშვილის დანიშვნის შესახებ;

2. ასოციაციაში გაწევრიანება;

3. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21[2]მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: **შოთა თანდაშვილი, ალექსანდრე ცინცაძე;იაკობ ენდელაძე, ალექსანდრე რუსია**

4. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის კომპონენტების გადანაწილება;

5. **გვანცა როგავას** განცხადების გაცნობა თანდართული დიპლომით ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების თაობაზე;

6. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადების განხილვა (1.განმცხადებელი: საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, თემა: **„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა“; სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების სისტემა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით);**

7. ევროპის საბჭოს პროექტისთვის სამუშაო ჯგუფის დამტკიცება;

8. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის, ექსპერტთა ჯგუფის და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება;

9. **ვასილ გონაშვილის** განცხადების განხილვა;

10. **ინდირა მაშანეიშვილის** განცხადების განხილვა;

11. შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის საბოლოო დასკვნის გაცნობა.

12. სხვადასხვა

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს თავმჯდომარის ინიციატივას ჟურნალის "ადვოკატი" მთავარ რედაქტორად ზაზა ხატიაშვილის, მთავარი რედაქტორის მოადგილედ - ეკატერინე ხიმშიაშვილის დანიშვნის შესახებ;

მე-2 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები გაწევრიანების შესახებ:(ქეთევან თოიძე, თამთა საჯაია, კოკა გაბუნია, მადია ძნელაშვილი, მერაბ ქართველიშვილი, თამარ სალბიშვილი, ირაკლი გიორგაძე, ლილი ზუბიაშვილი, ეკატერინე ყოლბაია, თამარი გავარდაშვილი, ნინო კაპანაძე, გოგიტა ბახტაძე, ალექსანდრე თორია, თეონა კალანდაძე, სალომე ზურაბაშვილი, ჯულიეტა ბუიძე, თეა ქავთარაძე, ნინო გიგინეიშვილი, გიორგი ჯანაშვილი, ანა ქამხაძე, ანა ჭიპაშვილი. <u>დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები:</u> მერაბი რუაძე, ნუცა შონია.

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას ანა ქამხაძის, ანა ჭიპაშვილის, განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ. ამავე კანონის 21^2 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მათ გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა. <u>ასევე, დაკმაყოფილდეს</u> ნუცა შონიას განცხადება ხელახალი გაწევრიანების და წევრობის შეჩერების შესახებ.

ბ)

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ლაშა კვაჭაძის განცხადება ხელახალი გაწევრიანების შესახებ და გაუქმდეს მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანება.

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს ვარლამ როდონაიას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და მას წერილობით ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

მე-3 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21^2მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს შოთა თანდაშვილის, ალექსანდრე ცინცაძის, იაკობ ენდელაძის, ალექსანდრე რუსიას განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

მე-4 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> სასწავლო ცენტრისთვის დამტკიცებული 2015 წლის ბიუჯეტის კომპონენტები გადანაწილდეს წარმოდგენილი სახით.

მე-5 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: დაკმაყოფილდეს გვანცა როგავას განცხადება თანდართული დიპლომის საფუძველზე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების თაობაზე. აღნიშნულ პირს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

მე-6 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს განმცხადებლის -„ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის“ განაცხადებები და მიენიჭოს აკრედიტაცია წარმოდგენილ თემებს: 1. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა“; 2. „სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების სისტემა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“;

მე-7 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცდეს ევროპის საბჭოს პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის“ ფარგლებში, საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციით შექმნილი სამუშაო ჯგუფი წარმოდგენილი სახით:

1. თინა ქარსელაძე – სასწავლო ცენტრის დირექტორი;
2. ქეთი ჯაფარიძე – აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი;
3. თამარ ხუბულური – ეთიკის კომისიის იურისტი;
4. სალომე ონიანი – საგანმანათლებლო საბჭოს კოორდინატორი;
5. ბელა ბაშარაძე – სისხლის და სამოქალაქო სამართლის კომისიის კორდინატორი.

მე-8 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> წარმოდგენილი სახით დამტკიცდეს : ა) 2015 წლის ადვოკატთა საშემდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა; ბ) კაზუსების შემადგენელ სამართლის ექსპერტთა ჯგუფის და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა;

მე-9 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u>

ბ–ნ ვასილ გონაშვილს უარი ეთქვას განცხადებით გამოთხოვილი იმ 20 ტესტის მიღებაზე, რომელიც გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა.

მე-10 საკითხის განხილვა გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

მე-11 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის საბოლოო დასკვნა განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე: www.gba.ge

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე